სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 25 ივნისი 9 1896 წ. № 25

შინაარსი: განცხადება.—ჟულ სიმონი, გ. წ—ისა.—სხვა-და-სხვა ამბები.—საყურადღებო ამბები.—ზეპირ გადმოცემანი. მეორე ამბავი, ზემო იმერეთში შეკრებილი და ჩაწერილი გ. წერეთელის მიერ.—*** ლექსი (ა. ჰლეშჩეევიდან) ვ. მაქსიმესძისა.—გლადიატორები, ა—სი.—ბიბლიოგრაფიული შენიშვნები ფ. მ—ისა.—ნუმ (შემდეგი) ვ. ბარნოვისა.—სახუმარო გასართობი.—განცხადებები.—

მათი უაეგუსტოესი იმპერატორებითი უმაღლესობათა **დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასულისა** და **დიდი მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძის** მფარველობათა ქვეშე მყოფი ქუთაისის გუბერნიის ცენტრალური კომიტეტი წყალ დიდობისაგან და დიდ თოელობისაგან დაზარალებულთა შემწეობის აღმოსაჩენათ, ამით აცხადებს, რომ ფული და ნივთები დაზარალებულთა სასარგებლოთ მიიღება კომიტეტის თავმჯდომარის, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის. თ. ს. გ. წერეთლის სახელობაზე.

(3—1)



ჟულ სიმონი.

ჟულ სიმონი.

ამ დღეებში დეპეშით მოგვივიდა ამბავი, რომ ერთი სახელ განთქმული საფრანგეთის მოღვაწე ჟულ სიმონი გადაცელილა.

ჟულ სამონი იყო წარჩინებული საფრანგეთის ფილოსოფოსი და გამოჩენილი სახელმწიფო მოხელე. დაიბადა 1814 წელს ლორიანის ქალაქში. 1835

წელს ფილოსოფიის პროფესორის თანაშემწეთ დანიშნეს ნორმალურ სკოლაში, ხოლო 1839 წელს ფილოსოფოსის კუზენის ალაგი დაიჭირა სორბონის უმაღლეს სასწავლებელში. ამ დროებაში იმან დაწერა რამდენიმე ფილოსოფური თხზულებანი, სხვათა შორის შესანიშნავია მისი თხზულება „ისტორია ალექსანდრიის საფილოსოფოსო სკოლისა“ (Histoire de l'école d'Alexandrie, ორი ტომი). 1848 წ. ის ამოირჩიეს დეპუტატათ, რომელიც მიეკედლა ზომიერ რესპუბლიკელთა პარტიას. როცა ნაპოლეონ მესამემ არეულობა მოახდინა და რესპუბლიკა დასცა, ჟულ სიმონმა უარი თქვა ფიცის მიღებაზე და ამისგამო განაძევეს სორბონის სკოლიდან და წაართვეს პროფესორობა. ამ დროებში მან დაწერა ნაპოლეონ მესამის წინააღმდეგ თხზულებანი: „მოვალეობა“ (le Devoir), „თავისუფლება“ (la Liberté) და „სინიდისის თავისუფლება“ (la Liberté de conscience). ბოლოს იმან გამოსცა ღრმათ გულში ჩამბეჭდავი თხზულება მუშაქალთა უმწეო მდგომარეობაზე, სახელათ: „მუშა დედაკაცნი“ (l'Ouvriéres). 1869 წელს ის აირჩიეს საფრანგეთში, როგორც ნაპოლეონის წეს-წყობილების მებრძოლი დეპუტატი, რომელმაც დიდი სახელმწიფო ნიჭიერება გამოიჩინა მუშა-ხალხის სწავლა განათლების დაარსებით და სახელმწიფო მეურნეობაში საუკეთესო ზომების აღმოჩენით. ამ დროებში იმან დაწერა „უფასო განათლება ხალხისა“ (l'Ecole), „მუშაობა“ (le Travail), „რადიკალური პოლიტიკა“ (la Politique radicale), სიკვდილით დასჯა (la Peine de mort). ფრანკო-გერმანიის ომის დროს, როცა ნაპოლეონი ტახტიდან ჩამოაგდეს, ჟულ სიმონი აღირჩიეს საფრანგეთის დამცველ მთავრობის წევრათ და განათლების მინისტრობა მიანდეს. ამ დროს მან გამოსცა მოგონება 4 სეკტემბრისა, იმდროისა, როცა ნაპოლეონის დინასტია გადაყენეს და რესპუბლიკა დაარსდა საფრანგეთში (le Souvenir du 4 septembre). 1875 წელს ის ამოირჩიეს თავის სიცოცხლეში სამუდამოთ სენატორათ და ღირსი გახდა საფრანგეთის აკადემიის წევრობისაც. 1879 წელს აქეთ ის წინააღუდგა ფერრის მიერ გამოცემული რადიკალური განათლების კანონს და საზოგადოთ დამნაშავეთა პატიების კანონს (ამნისტიას). 1890 წელს ის იყო საფრანგეთის წარმომადგენელათ ბერლინში რომ მუშათა-შეწევნის კრება მოხდა, იმის ხდომებზე. მის უკანასკნელ თხზულებათა შორის შესანიშნავია „ტიერის გამგეობა“ ორი ტომი (le Gouvernement de M. Thiers), „წიგნი პაწია მოქალაქისა“ (le Livre du petit citoyen). ეს წიგნი პოლიტიკის სწავლის სახელ-ძღვანელოთ უნდა ჩაითვალოს. მან დაწერა აგრეთვე ფილოსოფოსის კუზენის ცხოვრება, და „მეოცე საუკუნის ქალები“ (la Femme du XX siècle) და მრავალი წერილმანი თხზულებები. ჟულ-სიმონი თავის მოღვაწეობით ირიცხება საუკეთესო საფრანგეთის მამულის შვილათ მეცხრამეტე საუკუნეში.

გ. წ—ი.

სხვა-და-სხვა ამბები.

ელს თფილისის პირველ გიმნაზიაში სწავლა დაამთავრეს სულ 37 ყმაწვილმა, ამათში ქართველია ოთხი: იო. ავალიშვილი, ევ. ინდოევი, მიხ. კონიევი, პ. მეფისოვი. მეორე გიმნაზიაში სწავლა დაამთავრეს სულ 23-მა; ამათში ქართველებია ხუთი: გ. ქართველიშვილი, ქაიხ. ყიფიანი, მ. ფავლენოვი, მ. ჭავჭავაძე და მიხ. ნანაბაშვილი. მესამე გიმნაზიაში სულ 14 ყმაწვილს გაუთავებია, იმათში 4 ქართველია: სამ. დიდიძე, გ. ლომაური, ნ. ხახუტაშვილი და მიხ. ერისთავი. სამიენ გიმნაზიაში წელს სწავლა დაუმთავრებია 13 ქართველს.

* * *

ალექსანდრეს საოსტატო ინსტიტუტში წელს სწავლა დაასრულა სულ 19 კაცმა, ამათში 7 ქართველია: ნ. ჯომარჯიძე, რომელმაც მიიღო ვერცხლის მედალი, ა. მირიანაშვილი, ზ. ფავლენიშვილი, ს. თულაშვილი, ა. ბაქრაძე, გ. ჭყონია და ე. თედოშვილი.

* * *

თფილისის კადეტის კორპუსში კურსი შეასრულა პირველი ხარისხით 35 ყმაწვილმა; მათში 5 ქართველია: კონ. ავალიშვილი (მიდის ნიკოლაევის კავალერიის სასწავლებელში), ევ. მდივანი (ელიზავეტოგრადის კავალერიის სასწავლებელში), ირ. მესხიევი (ალექსანდროვის სასწავლებელში), მიხ. თუმანოვ. (მიხაილოვსკის არტილერიის სასწავლებელში) და ნიკ. ფორაქოვი, რომელიც მიდის მაღალ ტეხნიკურ სასწავლებელში.

* * *

თფილისის სასულიერო სემენარიაში წელს სწავლა დაუმთავრებია სულ 37 კაცს, იმათში ჩვეულებრივ უმეტესობას ქართველები შეადგენენ: ჯაში, ჯაფარიძე, ჯოხტაბერიძე, ინგოროყვა, ქაქაბაძე, ზ.

ცხვეთაძე, ლ. ცხვეთაძე, პარასკევიშვილი, ფხალაძე, თალაკვაძე, თოხაძე, ხუროშვილი, აბაშიძე, დოთაძე, დევიძე, კუბანეიშვილი, სახოკია, ხუციშვილი, ცინცაძე, ჩაგულოვი, ჩინჩალაძე, შენგელაია, შიუკაშვილი, შუბლაძე, გ. ედილოვი და ვ. ედილოვი.

***

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოთ ორ თიბათვეს გამართულმა ლატარიამ, ავდრის გამო მოსალოდნელი შემოსავალი არ მოიტანა. ხარჯ გარეთ დარჩა მხოლოთ ასი თუმანი; თუმცა კვლავინდელზე, მოსაგები ნივთები და ბალის ჩირაღდანი უკეთ იყო მოწყობილი. ელვა-ქუხილმა ხალხი გაჰფანტა.

რადგან ათი წელიწადი შესრულდა, რაც ყოველ წლივ კნ. ო. თ. ჭავჭავაძისა მოთავეობს ლატარიის გამართვას წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოთ, ამიტომ ქართველ ქალებმა ამ საღამოს მიართვეს მას შვენიერი გულის ქინძისთავი, ალბომი და ადრესი ულრმესი მადლობისა.

***

5 ივნისს, შუადღის პირველ საათზე მოხდა მკვლელობა ადგილობრივი სინოდალური კანტორის წევრის, ქვაბთა-ხევის მონასტრის წინამძღვრის არქიმ. ნიკოლოოზისა (ერობაში სიმონოვი). განსვენებული იყო 58 წლის, წინეთ მსახურებდა ბლაღოჩინათ დ. ბორჯომში. მკვლელია სტეფანე კალმახელიძე, 40 წლისა, პრიჩედნიკი სოფ. ბერშოეთის ეკლესიისა, გორის მაზრაში. 1886 წლამდის ის იყო მღვდლათ სოფ. ახალდაბაში, გორის მაზრაში, მაგრამ სხვა-დასხვა დანაშაულობის და ცუდი ყოფაქცევისათვის მღვდლობა ჩამოერთვა. ხუთი დღის წინეთ ის ჩამოვიდა თფილისში შემწეობის სათხოვნელათ, რისთვისაც მან შეიტანა თხოვნა სინოდალურ კანტორაში. ამასთანავე ხშირათ მიუმართავს ამავე თხოვნით არქ. ნიკოლოზისათვის. 5 ივნისს კალმახელიძე არქ. ნიკოლოზის მოლოდინში, იჯდა კანტორის კიბეზე. როდესაც არქ. ნიკოლოოზი შედგა კიბეზე, მკვლელი მივიდა მასთან და შემწეობას თხოვდა რაზედაც არქ. ნიკოლოოზმა უპასუხა, რომ თქვენ თხოვნას გავარჩევთო და ფულზე კი უარი უთხრა. მაშინ კალმახელიძე მივარდა დანით არქიმანდრიტთან და დაჰკრა ორ ალაგას: ერთი მარჯვენა გვერდში და მეორე მუცელში. არქ. ნიკოლოოზი ერთი საათის განმავლობაში გარდაიცვალა. მკვლელი, მაშინვე დაატყვევეს.

განსვენებულ არქ. ნიკოლოოზი დაჯილდოვებულ იყო რამდენიმე ორდენებით. როგორც ამბობენ, სხვათა შორის, ისიც ითვლებოდა კანდიდატათ იმერეთის საეპისკოპოზო კათედრაზე.

***

პეტერბურგის საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის მოწაფეს თარხნიშვილს გამოუგზავნია თავის გაკეთებული გაბრიელ ეპისკოპოსის ბიუსტი. ბიუსტი სუფთათ და კარგათ არის გამოყვანილი.

***

ამ დღეებში რედაქციას მოუვიდა შემდეგი გამოცემანი:

1) **ოქროს მოყვარულები**, მოთხ. ცშოკესი, გადმოთარგ. ელენე წერეთლის მიერ, გამ. „წერა-კითხვის საზოგ." **№ 27.** გვ. **65**, ფ. **15** კაპ.

2) **ჩვენი ქვეყნის რაინდი**, მოთხრ. ეგნატე ინგოროყვასი (ნინოშვილისა), ბათომი, **1896** წ. გვ. **125**, ფ. **20** კაპ.

3) **ცხენის წურბელა**, მოთხრ. ჩვენი გლეხების ცხოვრებიდან კ. ხევის-უბნელისა, ივანე როსტომაშვილის გამოცემა, **№ 11**, გვ. **49**, ფ. **15** კაპ.

4) **მაჭმადი და მისი რჯული**, დ. ზარაფაშვილისა, ივანე როსტომაშვილის გამოცემა, **№ 12** გვ. **32**, ფ. **15** კაპ.

ბატონო რედაქტორო

წარსულ წელს ბ-ნ მარკოზ სანებლიძემ ირაკლის ფონდის სასარგებლოთ შეკრიბა ჩვენ შორის ფული სულ 23 მან., რომელიც მას უკლებლათ უნდა გადაეცა „კვალის" რედაქციაში და ხელის მომწერლების სიაც უნდა გამოეცხადებია; მაგრამ მან გადასცა რედაქციას მხოლოთ 9 მან. და 60 კაპეიკი. ამისთვის ვთხოვთ ბ-ნ მარკოზ სანებლიძეს დანარჩენი ფულიც 13 მან. და 40 კაპ. წარმოადგინოს რედაქციაში ირაკლის ფონდის მისამატებლათ. სხვათა შორის ჩვენც ხელის მომწერნი იმ ფონდის შესადგენათ არ ვყოფილვართ გამოცხადებული და არც ჩვენმიერ გამოღებული შეწირულობა ყოფილა იმ სიაში მოხსენებული. აზ. ნ. ყორღანია, ალ. იაშვილი, ანტ. ფარსადოვი, ფ. ოსტაშვილი, გ. მღებროვი, გ. შუქრიშვილი, გ. ოდიაშვილი, ბ. მეტრეველი, შ. ისაკაძე, ხუმაშვილი, რ. არუთინოვი.

საყურადღებო ამბები.

ს. ქწერი (ქუთ. მაზრა). აგერ მაისი გათავდა და ჩვენსკენ ხვნა-თესვა კიდევ არ მოთავებულა; ზოგიერთ მუშა კაცს სრულებით არ უხლია ხელი ჭირნახულისათვის; მუდამ დღე წვიმს, რაც დაითესა ისიც არ ამოსულა ჯერ, ჩალპა მიწაში და ჭიანჭველების საზრდოთ გადაიქცა. ამ საზოგადოებაში მეტათ გახშირებულია ქურდობა ცხენების და სხვა შინაური საქონლისა. სამი-ოთხი თვის განმავლობაში 12 ცხენი დაიკარგა აქ და წვრილფეხი საქონელი კიდევ სხვაა. საზოგადოებას ჰყავდა შენიშნული ჯერ-ჯერობით ერთი პირი, მცხოვრები ამავე საზოგადოებაში, რომელიც ხელს უწყობდა ქურდობას; კიდეც დაასახელეს ეს კაცი,—თუ ამას გადასცემთ დასასჯელათ მთავრობას, მაშინ სხვებიც დაშინდებიანო, გაიძახოდა უმეტესობა. საზოგადოება თანახმა გახდა ამგვარი აზრისა; შეაყენეს განაჩენი და შეუდგენ ხელის მოწერას; ამ დროს გაუჩნდა ქურდს შემწეთ ოთხი კაცი, რომლებმაც იმოდენი იყბედეს ხალხში, რომ ბოლოს ექვსასი კომლის მაგიერ განაჩენზე მოაწერეს ხელი მხოლოთ 170-მა; ამით განაჩენი ძალაში არ შევიდა და კრება დაიშალა. ხალხი მიდიოდა სახლში და გაიძახოდა: ,,გათეთრდა ქურდიო‘‘. ამგვარი სოფლის ,,ადვოკატები‘‘ ბევრი არიან ჩვენში, რომლების წყალობით თამამათ დანავარდობენ ქურდები. შესანიშნავია ის ქურდობა, რომელიც მოხდა ს. სამტრედიის წმ. გიორგის ეკლესიაში წირვის დროს: 23 აპრილს, სამტრედიაში დღესასწაულობენ წმ. გიორგის დღეობას; ამ დღეს ეკლესია გაჭედილი იყო მლოცველებით, მაგრამ ქურდმა ამას არაფრათ მიაქცია ყურადღება; როდესაც მნათე შევიდა საკუთხეველში სანთლების ასანთებათ, იდროვა ქურდმა და რაც სანთლის ფულები ეწყო სასანთლე მაგიდაზე ყველა აკრიფა, ჯიბეში ჩაიყარა და გაძვრა გარეთ. მაშინვე გაუგეს, მოასწრეს ეკლესიის ეზოში და ჯიბიდან ამოუღეს რამდენიმე ნაპარავი გროშები. 20 წელიწადი სრულდება რაც აქ არსებობს ერთ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი. ბევრი არიან ჩვენში, რომლებმაც პირველ დაწყებითი სწავლა ამ სასწავლებელში მიიღეს და ამით აიხილეს თვალები; ზოგნი ახლა სამსახურში იმყოფებიან და კარგ ჯამაგირებსაც იღებენ. ამ ჟამათ ხსენებულ შკოლას მთავრობა 200 მანეთით შეეწია მღვ. ზ. შანიძის და გერ. კოპალეიშვილის მეცადინეობით. აგრეთვე მადლობის ღირსნი არიან მზრუნველნი ამ სკოლისა: დავით კოპალეიშვილი, რომელმაც სასწავლებელს მიაშენა ერთი კარგი ოთახი წიგნთ-საცავისათვის, და დაუკვეთა შკოლას ჟურნალი ,,შკოლის მიმოხილვა‘‘; ილ. ხეთერელი, რომელმაც დაუკვეთა ამ წელში სკოლას ,,ჯეჯილი‘‘ და ილ. კოპალეიშვილი, რომელმაც შემოსწირა სახალხო წიგნთ-საცავისათვის ორმოცი სხვა-და-სხვა ქართული წიგნები და სხვა მხრივაც აღგვითქვა შემწეობა.

ლადო ბზვანელი.

*\
* *

გუდაუთი (სუხუმის ოლქი). მართალია, გუდაუთის მაზრა ყოველთვის ცნობილი იყო სუხუმის ოლქის ერთ მოუსვენარ კუთხეთ, მაგრამ, სამწუხაროთ, აქ არასოდეს ავ-კაცობა, ქურდობა, კაცის კვლა და სხვა ბოროტ მოქმედებას იმ ზომამდის არ მიუხწევია, როგორც ახლა. ქურდობა, რომელიც შეადგენს უპირველეს ხელობას აქაურ მკვიდრთა უმრავლესი ნაწილისას, დღეს ისე გაძლიერებულია, რომ ვისაც სურს თავისი ოფლით ირჩინოს თავი, ის ყოველ ღონისძიებას მოკლებულია, რადგანაც მას პირუტყვს არაოდეს არ შეარჩენენ. მაგრამ ამას ვინ ჩივის: 1893 წლიდან, აქ ისე გაძლიერდა კაცის კვლა, რომ თითქმის არ გაივლის ისე დღე, რომ რომელსამე სოფელში კაცი არ მოკლან. ერთ აქაურ საზოგადოებაში (ოთარაში), ერთი წლის განმავლობაში (1895 წ.) მოუკლავთ ოცამდე კაცი; აქ ისეთი უზომო შიშია, რომ, მცხოვრებნი, შეღამდება თუ არა, ჩაიკეტავენ კარს თავიანთ ქოხებისას და მეზობელს ცეცხლი რომ წაეკიდოს ვერ ბედავენ მისაშველებლათ გამოსვლას. აქაური ძველი კაცები ამბობენ, რომ ამნაირი უბედურება აფხაზეთს ჯერ არ წვევიაო. ამ უბედურების უმთავრეს მიზეზს შეადგენს ის, რომ აქ რამდენიმე დამნაშავე კაცი მთავრობას ემალება და სოფლებში კი დადიან საავაზაკოთ; ამათ ემატებათ სხვებიც და ერთათ ესენი შეადგენენ ავაზაკთა ბრბოს, რომელიც შიშის ზარს გვრის მცხოვრებლებს. მაზრის უფროსი, ბ. ჩიქოვანი, ძალიან გულმოდგინეთ მეცადინეობს ავ-კაცობის წინააღმდეგ, მაგრამ, სამწუხაროთ, ვერაფერს ვერ გახდა ჯერ-ჯერობით. ამ ორი კვირის წინეთ, მან ჩამოიარა მისდამო რწმუნებული მაზრა და, ყველა სოფლებში მამასახლისებათ აარჩევია მაღალი წოდების პირნი, ე. ი. თავად-აზნაურობა, იმ განზრახვით, რომ იმათი მეცადინეობით უფრო შეიძლება ავ კაცობის მოსპობა. ეს აზრი ბ. ჩიქოვანისა, ჩვენი ფიქრით, არ უნდა დარჩეს სრულიათ უნაყოფოთ, რადგან აქ თავად-აზნაურობა გავლენიანი ხალხია.

მაან.

* *
*

ს. წევა. (შორაპნის მაზრა) არა ვგონებ რომ ისეთი შევიწროებული სოფელი იყოს სადმე ქვეყანაზე უგზოობით, როგორც შევიწროებული და გაჭირვებულია სოფელი წევა. ამ სოფლის ღარიბი გლეხები თითქმის ნახევარი წლის სარჩოს ეზიდებიან ზესტაფონიდან და ძირულიდან. წრევანდელმა წყალდიდობამ წეველებს მდინარე ძირულაზე ხიდი წაართვა, სახელმწიფო გზა-ტკეცილი ზესტაფონიდან რამდენსამე ალაგას წყალმა წაახდინა და ამით ზესტაფონსა და წევას შუა მიმოსვლა შეწყდა. გზა ისე ცოტაზეა წამხდარი, რომ ერთ კვირაში ადვილათ შესაძლებელია მისი გაკეთება, რაც ადგილობრივ მცხოვრებთათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. გაკეთება მით უფრო საჭიროა, რომ კვირიკობის თვეს წევაში საზოგადოთ ბაზრობა იციან, სადაც ესწრებიან თბილისის, გორის, ქუთაისის და ბათუმის ვაჭრები, რომლებსაც მოაქვთ რამდენიმე ათასი ფუთი საქონელი; საიდან უნდა მოიტანონ ეს უკანასკნელი თუ გზა გაკეთებული არ იქნება.

ჭარის სოფლის მას. ტერ. გაჩეჩილაძე.

* *
*

ს. წყალტუბო (ქუთ. მაზრა). ვინც უნდა აიღოთ: კავკასიის მკვიდრი, თუ შორიდან მოსული უცხოელი, ნასწავლი, თუ უსწავლელი, თითქმის ყველანი ერთ ხმათ აღიარებენ, რომ კავკასია ბუნებით მდიდარი ქვეყანააო, ამას ჩვენი საკუთარი თვალითაც აშკარათ ვხედავთ. რაც ზოგიერთისათვის სანატრელია და საოცნებო, ჩვენთვის ბუნებას უხვათ მოუნიჭებია, მაგრამ რათ გინდა? ჩვენ ვერ ვსარგებლობთ ამით და ბუნებით მდიდარნი, ქონებით ღარიბნი ვართ. მიზეზი, რასაკვირველია, ჩვენი უმეცრება, საქმის უცოდინრობა და თან დაყოლილი ქართველური დაუდევრობაა, რომლის გამო ქართველ კაცს ეშინია ახალ საეკონომიო მოძრაობაში მონაწილეობის მიღებისა. აიღეთ, თუ გნებავთ, მაგალ., ეს ჩვენი წყალტუბოს თბილი წყალი. სხვა ქვეყანაში, მცოდნესა და ფულიანი კაცის ხელში, ამგვარი ბუნების სიმდიდრე დიდ მოძრაობას შექმნიდა და აუარებელ ფულს დაატრიალებდა მკვიდრთა შორის. ახლა ოთხი თუ ხუთი ათასი მანათი შემოაქვს ამ აბანოებს წელიწადში და ეს, მოგეხსენებათ, მეპატრონეთა გაფხეკილ ჯიბეს დიდს ვერაფერს შემატებს, რადგან აბანო ორია და მონაწილე კი ორმოცი. ეს გარემოება, ცოტა არ იყოს, ხელს უშლის აბანოების ჰიგიენურათ მოწყობასა და გაუმჯობესობას. ჩვენი ფიქრით, აუცილებლათ საჭიროა, თვით საქმის სიკეთისა და შემოსავლის გადიდებისათვის, ამ აბანოების საქმე ფულიანსა და მცოდნე კაცს გადაეცეს იჯარით, რომელიც თითონაც ისარგებლებს და მეპატრონეთაც დიდათ ასარგებლებს. ამას თვით მეპატრონეთა საკუთარი ინტერესი მოითხოვს, მაგრამ ჩვენებურ კაცს სადა აქვს ამისი შნო?! მეპატრონეები ცდილობენ ხელიდან არ გაუშვან მისი სარგებლობა და გაუმჯობესობისათვის კი ფული არა აქვთ. კარგათ გვახსოვს, შარშან მეპატრონეთ მოლაპარაკება ჰქონდათ ბოქაულის თანადასწრებით აბანოების გაუმჯობესობის შესახებ და, როცა ყველაფერი მზათ იყო და პირობაზე ხელი უნდა მოეწერათ, უცებ გამოხტა ერთი მონაწილე და გაჭირვეულდა: მე მაგაზე ხელს არ მოვაწერო.—რატომ რა, მიზეზიაო,—ჰკითხეს. „რავა მკითხავთ მაგას!? დღეს ჩემი მამულის პატრონი მე ვარ და გამგეობაც ჩემიაო“,—და საქმე ამით დაიშალა.

დღემდი მარტო ამ აბანოებით მოგვქონდა თავი და ახლა კი ჩვენ მხარეზე კიდევ აღმოაჩინეს ორ-სამ ალაგას სპილენძისა და ქვა-ნახშირის, ოქროსა და ვერცხლის მადნები. ამბობენ, ასეთი მდიდარი მადნები ჯერ კავკასიაში არ უნახავთო. ეს ადგილები ძევს რიონის მარჯვენა მხარეზე, სწორეთ იმ მთის ზურგზე, რომელიც რიონს ქუთაისამდე ჩასდევს და თავდება იქ, სადაც არქიერის გორას ეძახიან. ეს მთის ზურგი გორ მაღლიდან მოკიდებული, უმეტეს ნაწილათ ეკუთვნის თ. ლ—ძეებს, რომელთაც ნატარიული ხელშეკრულობით უკვე გაუციათ ოცდა თუთხმეტი წლის ვადით ამ მადნების საქმე. იგი აუღია თ. ნ. ჩიკვაიძეს და ამბობენ, ახლა კაპიტალის პატრონთან აპირებს საქმის დაჭერასაო. ღმერთმა ხელი მოუმართოს, ორივე მხარეს, მაგრამ ეს კი ვერაფერი საკადრისია არც ერთისა და არც მეორისათვის, რომ ასე სულმოუთქმელათ გადაუწყვეტიათ იმისთანა საქმე, რომელსაც ასჯერ გაზომვა უნდა და ერთხელ გადაჭრა.

ამ ჟამათ აქ არსდება ორ-კლასიანი სამრევლო სკოლა, რომლისათვის, ს. ქვილიშორის აზ. იოსელიანებმა ათი ქცევა მიწა შეწირეს. შეწირეს აგრეთვე ახლო-მახლო მცხოვრებლებმა შენობისა თვის საჭირო მასალა.

წლევანდელი ზამთრის ამბავს ხომ ნუღარ იკითხავთ! არაოდეს ასე მოუმზადებელი ხალხი არ დახვედრია ზამთარს და ან კი რათ შეიწუხებდა თავს, როდესაც ასეთი უშველებელი და ღვთის რისხვა ზამთარი თავის დღეში არ უნახავს.

დიდი თოვლის გამო მისვლა-მოსვლა შეწყვეტილი იყო და ამიტომ არც ქურდობისა ისმოდა რამე. დაიწია თოვლმა და გაიხსნა გზა თუ არა, ატყდა ერთი „ვაი უშველებელი“ და „ვინ ხარ მამაცი“

მეზობელი მეზობელს აღარ ინდობს და ნათესავი ნათესავს, თუ რამე დაუხვდა, გპარავს და მიაქვს. თავს კი ასე მართლულობს გუნებაში: შენ ბევრი გაქვს და მე სულ არაო.

ი. კორტელი.

***

სოფ. ზაყამთა (კავკავის მაზრა) წლევანდელი ზამთარი აქ საშინელი იყო. გაზაფხული ძრიელ გვიან დადგა, მაისის მიწურულამდე ხნავდენ და თესავდენ ქერს. მაისის შუა რიცხვეებში, გარეკეს მცხოვრებლებმა ცხვრები და ძროხები საძოვრათ. ამ დროს წამოვიდა ზვავი და სამოცი ცხვარი და თვრამეტამდე ძროხა დაიტანა. მათი პატრონების ცოდვით ქვაც კი ატირდებოდა, სატირალიც ჰქონდათ საბრალოებს: საცოდაობით ზამთარში გამოკვებილი საქონლისგან ხელცარიელი დარჩენ.

ქართველი ოსეთში.

ზეპირ გადმოცემანი,

ზემო იმერეთში შეკრებილი და ჩაწერილი გ. წერეთლის მიერ.

გ. ჯაფარიძის ნაამბობი, ხარაგაულის ხეობაში მამისთვალა ყიფიანმა რომ სიმონოვიჩის ჯარი გაატარა.

მ ე ო რ ე ა მ ბ ა ვ ი.

მამისთვალა ყიფიანი მარჯვე და მოხერხებული კაცი იყო. რაკი დარწმუნდა, რომ თავისი გამოცდილებით და დახელოვნებით დიდ სარგებლობას შეიძენდა, დაუახლოვდა რუსის ჯარის უფროს სიმონოვიჩს, რომელიც გზების უცოდინარობის გამო ძალიან სიფრთხილით იქცეოდა და ცდილობდა ისეთი კაცი ეშოვნა, გზებიც კარგათ ცოდნოდა და იმერეთის ჯარების წინამძღომელებთანაც კარგი განწყობილება ჰქონოდა. სიმონოვიჩს უფრო იმისი ეშინოდა, ვაი თუ ჩხერიმელას დაღვლირკნილ და ვიწრო ხეობაში სადმე მოვემწყვდიეთ და ხსნა ვეღარ ვიპოვოთო. მამისთვალა ყიფიანი ძალიან პატივით მიიღო რუსის ჯარის უფროსმა; კარგათაც დაასაჩუქრა ოქროებით და თავის გვერდიდან აღარ მოუცილებია. რაკი მამისთვალა ყიფიანმა დაარწმუნა სიმონოვიჩი: ისე ჩაგიყვან შორაპნამდის, რომ ჯარს თავზე ბუზიც არ აუფრინდესო, მაშინვე მოახდინა მან განკარგულება, ჯარი აბარგებულიყო და გზას დადგომოდა. ჯარი მიდიოდა წინ აუჩქარებლათ და დიდი წინდახედულობით. როგორც კი დაინახავდენ რამდენსამე იმერელს გორებზე გადმომდგარს, ჯარის უფროსი მაშინვე დასცემდა ბანაკს, საომრათ მოემზადებოდა და მოსალაპარაკებლათ გაგზავნიდენ მამისთვალა ყიფიანს. ესეც დიდის ამბით გაემზადებოდა, ვითომც სამძიმო საქმის ასასრულებლათ, გულში კი იცინოდა, რაკი ხედავდა, რომ გორებზე გადმომდგარი იმერლები, ქალი და კაცი, საომრათ კი არ იყვენ მოსული, ისე ცნობის მოყვარეობის გულისთვის. იმათ კიდეც უკვირდათ რაზმათ დაწყობილი ხიშტიანი სალდათები, რომლის თოფები მზეზე ბზინავდენ და ზარბაზნების ტუჩებს შავათ პირი დაეღოთ და თან უხაროდათ, რადგან გაგონილი ჰქონდათ, რუს ხელმწიფის ჯარი ჩვენი მეფის საშველათ მოდისო და ბინძურ თათრებს კუდით ქვას ასროლინებენო: მოვრჩებით იმათგან დარბევას, ცოლშვილის გაუპატიურებას და გოგო-ბიჭების მოტაცებასაო.—საცა კი ხმა მიწვდებოდა გარემო სოფლებში რუსის ჯარი მოდისო, მაშინვე ქალი და კაცი, როგორც მაყურებელნი, მორბოდენ და გადმოდგებოდენ ხოლმე გორებზე საცქერლათ. იმათ ფიქრათაც არ ჰქონიათ მტრობა, ისინი უფრო ცნობის მოყვარეობით იცქირებოდენ, მაგრამ მამისთვალა ყიფიანი ეშმაკობით აზვიადებდა საქმეს. როგორც კი დაინახავდა გორებზე სოფლის გოგობიჭებს, მაშინვე რუსის ჯარის უფროსს აფთხილებდა: არიქა, შეჩერდით, თვარა დაიღუპეთ, იმერეთის ჯარი გორაზე გადმოდგა და თოფსაც არ იხმარენ, მარტო ქვების დაგორებით ამოგვჟლეტენო.

რუსის ჯარის უფროსი მართლაც ემორჩილებოდა მის განკარგულებას, შეაჩერებდა ჯარს და ეხვეწებოდა მამისთვალას: წადი, იქნება რამე ნაირათ მოშალო ის იმერეთის ჯარებიო და ყოველ ამისთანა მოღვაწეობისათვის მამისთვალა ყიფიანს ოც-ოცი ოქრო ჰქონდა დანიშნული. მართლაც მამისთვალა ყიფიანი გაეშურებოდა იმერეთის გოგო-ბიჭებისაკენ, რომელთ შორის უფრო ბევრი მწყესები იყვენ გორაზე გადმომდგარი, და მას მარტო ერთი თქმის მეტი არ უნდოდა მათთვის: ახლავე აქედან დაიკარგეთ, თვარა რუსის ჯარი ზარბაზნებს დაგიშენენო.—ისინიც გამფრთხალნი საჩქაროთ გარბოდენ ტყეებში. როცა მამისთვალა ყიფიანი დაბრუნდებოდა რუსის ჯარის უფროსთან, ის მხიარულებით ეგებებოდა მას და უწონებდა მის დიპლომატურ ნიჭს. მამისთვალაც დიდათ შეიფერებდა ასეთს ქებას და ივსებდა ჯიბეს

იხ. „კვალი“ № 24.

ოქროებით. მამისთვალა არც ისე უვუნური კაცი იყო, რომ აღებული ოქროები ჯიბით ეტარებინა, ნამეტურ იმდროს, როცა ადვილათ შეიძლებოდა ის ეისმე გაეცარცვა. როგორც კი ბაჯაღლო ოქროებს მიიღებდა, ცოტახნით გაჰქრებოდა ჯარიდან, რომ ეს ოქროები უშიშარ ადგილას მიწაში ჩაეფლა. მხოლოთ ერთგან ჩხერის ციხეში იყო ბერ-წერეთელი თავის აზნაურებით და ნაყმეებით გამაგრებული. აქ უფრო დიდი შიში მიეცა რუსის ჯარის უფროს, რადგან ხეობაში ისეთი წერილი გზა იყო და ზევიდან გადმოფარებული ქედები დაჰყურებდა, რომ მართლაც ხსნა არ იქნებოდა, ვეღარც წინ წაიდოდენ, ვეღარც უკან, რომ განეზრახათ გორებიდან ბრძოლის ატეხა.

მამისთვალამ მართლაც აქ დიდი ხერხიანობა გამოიჩინა. იმან იცოდა, რომ სარდალი ქაიხოსრო წერეთელი ვარციხეს წაბძანებულიყო მეფესთან ახალი ამბების შესატყობათ და ამითი ხერხიანათ ისარგებლა მან, რომ ბერი წერეთელი დაეჯერებინა, ჩხერის ციხე დაეგდო და ღორეშისკენ დაწეულიყო თავისი ჯარით. მამისთვალა ყიფიანი დიდი მოწიწებით გამოეცხადა ბერ-წერეთელს; ქაიხოსრო სარდლისაგან მოკითხვა მოახსენა და ეითომც მისი დაბარებული სიტყვა გადასცა: ქაიხოსრო წერეთელმა გიბძანათ, მე მეფესთან მივდივარ და თქვენ ღორეშისკენ დაიწიეთ თქვენი კაცებით, რომ ულეზე ჯარი არ გამოგეპაროს და ჩვენი სამკვიდრო მამული ხელში არ ჩაიგდონო. ბერ-წერეთელს მართლაც ჭკუაში მოუვიდა ეს განკარგულება და მაშინვე აჰყარა ჯარი, გამოიყვანა ჩხერის ციხიდან და შეუდგა ძირულის ხეობას სოფელ ღორეშისკენ, რომ შემდეგ ულეზე გადასულიყო და მიმინოს წყაროს ხეობა შეეკრა. აქ რუსის ჯარი დაბანაკდა ჩხერიმელას პირზე და მიწის სანგლები გარშემოიელო. მამისთვალა ყიფიანმა ამ ხერხიანობისთვის მიიღო ორასი ოქრო. ჩხერის ციხეს იქით იმათ აღარაკინ შეხვედრიათ წინ, რადგან მამისთვალა ყიფიანისაგან დაყრილმა ხმებმა სოფლელები და მწყესები ძალიან შეაშინა. ისინი მხოლოთ მალულათ გამოიცქირებოდენ უდაბურ ტყეებიდან და უკვირდათ რუსის ჯარის გაწვრთვნილი სამხედრო მოძრაობა და მათი დაფერილი იარაღი. შორაპანს იქით ყვირილის ხეობა გაგანიერდა, რუსის ჯარს წინ ქუთაისამდის სახიფათო აღარა ჰქონდა რა და სიმონოვიჩმა გული დაიმშვიდა. მან აქ გაიგო მამისთვალას ყიფიანის ეშმაკობა, ძალიან ეწყინა და აღარ მიიკარა. მამისთვალა ერთ დილას შეჯდა შვენიერს ბედაურ ცხენზე, ჩამოუქროლა სიმონოვიჩს ბანაკის წინ. ამდროს სიმონოვიჩი ჩაის მიირთმევდა. მამისთვალა რომ დაინახა, წარბები შეიხარა და ჩაილაპარაკა: „ахъ, какой мошенникъ!“ მამისთვალა ყიფიანი მიუხედა ჯარის უფროსს მის წყრომას და მაგიერი პასუხი უთხრა: „თქვენ პრეოსხოდიტელსტვოს“, ჩემი „ჯიბა სიატელსტვო“ მირჩევნია, დაიკრა ჯიბას ხელი, შემოჰკრა მათრახი თავის ბედაურს და გაემურა ვარციხისკენ.

* * *

(ს. ᲭᲥᲔᲨᲕᲘᲚᲘᲓᲐᲜ)

გული ადუღდა!.. ზეპირ ფრაზებმა
სრულებით დამღრღნა და გამაწყალა;
სულ სიტყვა! სიტყვა! სადაც საქმეა,
იქ არც ღონე გვაქვს და არცა ძალა.

—

სად არის ჩვენი თანაგრძნობანი
და ხალხისადმი მტკივანი გული?
სიმართლისათვის მარტო სიტყვით ვართ
სატანჯველათა მომზადებული.

—

„აჰა! იღუპვის ჩვენი ქვეყანა!“
მუდამ ვიძახით გაცხარებულნი;
სიტყვით—მდიდარნი და ღარიბები
გვინდა რომ იქნან გასწორებულნი.

—

კიდეც ვქადაგებთ ჩვენ მაღალის ხმით,
რომ სიზარმაცე მავნებელია;
რომ მისთვის არ ვართ დაბადებულნი
მარტო გაეიძღოთ გულ-მუცელია.

—

მაგრამ ბრძოლასა და მედგარს შრომას
ისე ვაეურბით, როგორც ნადირსა;
მამული შვილურ ვალის გადახდას
შეურცხვენელათ ვარიდებთ პირსა.

—

ფრაზები ჩვენთვის ძვირფასი არის;
მარტო ის არის ჩამდგმელი სულის;
როდის შეეიგნებთ, ოჰ, ღმერთო ჩემო!
რომ მარტო ფრაზა ვერას გვიშველის?!

ვ. მაქსიმესი.

გლადიატორები.

გლადიატორები.

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲮᲐᲜᲐ მიიწურა. რომი გადაიქცა მსოფლიოს ბრძანებლათ. მისი სამფლობელო ატლანტიის ოკეანედან ეფრატამდის იყო გადაჭიმული, ჩრდილოს ზღვიდან სახარის უდაბნომდე. რომის ძლიერებამ დაიპყრო და დაიმონა ევროპა, აზია, აფრიკა, მათი სხვა-და-სხვა ტომის ხალხით. თვით რომის ქალაქი კი გადაიქცა მთელი ქვეყნის ცენტრათ, მთელ მაშინდელ სამეფოთა გულათ. ქალაქი აივსო სხვა-და-სხვა ტომის ხალხით; აქ იყვენ შორეულნი ასურელნი, ეგვიპტელნი, ებრაელნი. სახელმწიფოს გადიდებამ, უცხო ტომთა შემოერთებამ დიდი გაელენა იქონია თვით ქალაქზე: მან დაჰკარგა ძველებური ფერი და სამაგიეროთ მიიღო კოსმოპოლოტური ხასიათი. ვაჭრობა და აღებ-მიცემობა სხვა-და-სხვა კუთხეებთან გაძლიერდა; ყოველი კუთხე რომში გზავნიდა მას, რითაც იგი მდიდარი იყო. ქალაქში დატრიალდა აუარებელი სიმდიდრე. მცირე აზიის და საბერძნეთის კულტურა, რომელმაც უფრო აღრე მოიკიდა რომში ფეხი, გაძლიერდა. ფილოსოფია, ლიტერატურა, ხელოვნება, ტანსაცმელი, მოდა, სამზარეულო, ყოველივე ესე იცვლებოდა. მაგრამ ამავე დროს მომზადდა საშინელი ეკონომიური კრიზისი. უკიდურესმა სიმდიდრემ და სიღატაკემ ორათ გაჰყო მცხოვრებელნი და შექმნა პროლეტარიატი. ფუფუნებამ გარყვნა პოლიტიკური ცხოვრება და ამოფხვრა საზოგადოებრივი ინტერესი. საერო კრებამ დაჰკარგა თვისი ძველებური მნიშვნელობა და ინტრიგანთა სათამაშოთ გადაიქცა. ძველებური სიმტკიცე ხასიათისა, პატრიოტული გრძნობა, ნელ-ნელა გაჰქრა და მის მაგიერ ხასიათწამხდარ ხალხში ფეხი მოიკიდა ყოველ გვარმა დაბალმა გრძნობამ და უგვანობამ. ხალხი ჰყიდდა თავის ხმას და აძლევდა მას, ვინც მას სამაგიეროთ „პურს და ცირკს“ ჰპირდებოდა. სამსახურში მდიდარი თანამდებობის მაძიებელნი სარგებლობდენ ამით და ყიდულობდენ ხალხს. ამისათვის ისინი უმართავდენ სხვა-

და-სხვა გასართობებს, უფასოთ ურიგებდენ საჭმელს და უფრო რეენიდენ ისეთაც გარეენილს და სულით დაცემულ ხალხს. აჩვენებდენ ისეთ სანახაებს, სადაც იღვრებოდა სი'ხლი, სადაც ადამიანი სასიკვდილოთ ებრძოდა ადამიანს, ან მხეცს. ეს სისხლით საესე სცენები საყვარელ სასეიროთ გადაექცა ხალხს და საკვირველი ინტერესით ეკიდებოდა და გაფაციცებით მისდევდა მათ. ერთ ამგვარი გასართობთაგანი იყო გლადიატორთა ბრძოლა. ეს გასართობი რომში ეტრურიიდან შემოვიდა. წინათ ამგვარი ბრძოლა ფალავნებისა მიცვალებულის დასაფლავების დროს იკოდენ. ეს ჩვეულება იმის სამაგიერო იყო, რომლის ძალითაც მიცვალებულის საფლავზე მონებს შეწირავდენ ხოლმე მსხვერპლათ. შემდეგში, მეორე საუკუნეში ქ. წ., თანამდებობის მიღების წინათ დაიწყეს ამ გასართობების მართვა და ამისთვის დიდ ფულს ხარჯავდენ. რაც უფრო მდიდრულათ იყო მოწყობილი, რასაკვირველია მით უფრო მეტ ყურადღებას დაიმსახურებდა მისი გამმართავი ხალხისაგან. ერთხელ ერთ დასაფლავების დროს (183 წ.) ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა 120 კაცმა. აგვისტოს კეისარმა ბრძანება გამოსცა, რომ ამაზე მეტმა არ მიიღოს მონაწილეობა ბრძოლაშიო, მაგრამ შემდეგში იმპერატორების დროს ამას ყურადღებას აღარ აქცევდენ. იმპერატორი კომოდი თითონ იღებდა მონაწილეობას და ცირკში იბრძოდა, როგორც უბრალო გლადიატორი. იმპერატორ ტრაიანის დროს გლადიატორთა ბრძოლა 123 დღე გაგრძელდა. ამ ხანში ათი ათასი გარეული მხეცი აყო მოკლული, რომლებსაც ცირკში გამოუშვებდენ ხოლმე და რომლებთანაც გლადიატორებს უნდა ებრძოლათ. გლადიატორებათ საზოგადოთ გამოჰყავდათ მონები, ან ტყვეები. გამოდიოდენ აგრეთვე თავის ნებითაც, და ზოგჯერ თვით იმპერატორებიც. გლადიატორებისთვის სპეციალური სკოლა იყო გამართული და იქ ასწავლიდენ იარაღის ხმარებას და საზოგადოთ ბრძოლას. თითონ გასართობის საქმე ასე იყო მოწყობილი. გამოაცხადებდენ აფიშებით, რომლებიც კედლებზე იყო გაკრული, რომ ამა და ამ დროს იქნება ბრძოლაო; ცირკში შუა ადგილზე გამოდიოდენ გლადიატორები, ზოგჯერ ორი, ზოგჯერ კი რამდენიმე ასი წყვილი, და იწყებდენ ბრძოლას ჯერ ბლაგვი იარაღით; პატარა ხანს უკან ბლაგვ იარაღს ანებებდენ თავს და ბასრი მახვილებით შეებრძოლებოდენ ერთმანეთს. მაშინ ისინი აღარ ზოგავდენ და სასიკვდილოთ იბრძოდენ. ხალხი, ზოგჯერ ნახევარ მილიონი, ისხდა და გაფაციცებით სულ-განაბული უმზერდა ამ მხეცურ გასართობს. ცირკში იყოფებოდა თვით იმპერატორიც. ძძიმეთ დაჭრილ გლადიატორს წინათ მოთავე იპატიებდა ხოლმე სიკვდილისაგან, შემდეგში კი ეს უფლება ხალხსა ჰქონდა მინიჭებული. დაჭრილი გლადიატორი თითს აიღებდა ხოლმე მაღლა და ამით ანიშნებდა თავის თხოვნას. გამარჯვებულს გლადიატორს ასაჩუქრებდენ ფულით, ან ხალხის სურვილისამებრ ანთავისუფლებდენ, თუ იგი მონა იყო, ან ტყვე.

ის სურათი, რომელიც აქ არის მოყვანილი, აღებულია იმპერატორების პერიოდის უკანასკნელი დროიდან, როდესაც გახრწნილი, მომაკვდავი რომი თავგანწირულათ იბრძოდა ქრისტეს ახალი მოძღვრების წინააღმდეგ. ქრისტიანთა დევნამ საშინელი ხასიათი მიიღო. მათ წვამდენ, აღრჩობდენ, გარეულ მხეცებს ცირკში აფლეთინებდენ მთელი ხალხის თვალწინ. ხშირათ ისინი გამოჰყავდათ აგრეთვე გლადიტორებათ, კაცთან ან მხეცთან საბრძოლველათ, მა რამ ისინი მაინც არ ეცემოდენ სულით და ახალი სწავლით განათლებულნი გულადათ მიდიოდენ სასიკვდილოთ. აქ არის დახატული ის სცენა, როდესაც სასიკვდილოთ დაჭრილი გლადიატორი, მიწაზე გართხმული გდია. გამძვინვარებულ მოპირდაპირეს ფეხი დაუდგამს და ერთი წუთის შემდეგ იგი სრულათ მოუსპობს სიცოცხლეს, მაგრამ ქრისტიანი, კაცთმოყვარეობის გრძნობით გატაცებული, აჩერებს მას და თხოვს მის შებრალებას. გამარჯვებული გლადიატორი გაოცებით ისმენს ახალს, მისთვის გაუგებარ სიტყვას მტრისადმი სიყვარულისას.

ს.

ბიბლიოგრაფიული შენიშვნები.

კ. თავართქილაძის გამოცემანი;

1) ვეფხის-ტყაოსანი შოთა-რუსთველისა, სურათებით, ახალ-სენაკი, 1896 წ, ფასი კარგ ქაღალდზე 80 კაპ., ჩვეულებრივზე 70 კაპ.

2) თავდგირიძიანთ გვარის ღალატი და ალი ფაშა თავდგირიძე ზ. ჯ—სა. ახალ-სენაკი, ფასი ორი შაური.

3) „მოამბე“, თვიური ჟურნალი, IV.

ეირს-შესანიშნავია „ვეფხის-ტყაოსნის“ ბედი: თუ ერთი მხრით, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მას გატაცებით კითხულობდენ, მეორე მხრით, იმავე დროს, სასტიკათაც დევნიდა მას

სასულიერო წოდება. პირველათ დასტამბული „ვეფხის-ტყაოსანი“ ვახტანგ კანონმდებელის მიერ კათალ. ანტონ პირველმა დაწვა. მაგრამ ხალხს ძლიერ უყვარს „ვეფხის-ტყაოსნის“ მსგავსი ნაწარმოებნი, რომ გარეგანმა დევნამ ხელი აალებიოს იმის კითხვაზე. ხოლო რაც შეეხება მეცხრამეტე საუკუნეს, ჩვენ თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ საუკუნეში არც ერთ ქართულ წიგნს არ წვევია ,,ვეფხის-ტყაოსნის“ ბედი: ხხვა-და-სხვა გამოცემებს რომ თავი დავანებოთ, მარტო ოზურგეთში ერთი წლის განმავლობაში სამჯერ დაბეჭდილა ეს პოემა, როგორც ამბობს ამ უკანასკნელი გამოცემის წინასიტყვაობის ავტორი. იგივე ავტორი გვაუწყებს, რომ „ვეფხის-ტყაოსანს“ მკითხველს გარდა მუშტარიც ჰყავსო. სწორეთ რომ სამაგალითო მოვლენაა ეს, და ჩვენ სრულიად ვერწმუნებით ამაში წინასიტყვაობის ავტორს.

მაგრამ ახლა უნდა მოგმართო მკითხველო, შენ! ნუ თუ ჩვენ იმნაირ ბედზე ვართ დაბადებული, რომ არაოდეს აღარ უნდა გავთავისუფლდეთ ბრმა თაყვანის-ცემიდან? ნუ თუ ჩვენთვის დღეს „ვეფხის-ტყაოსნის“ დასაფასებლათ საკმარისია მხოლოთ ის გარემოება, რომ მას ხალხში უბრალო მუშტრებიც კი ჰყავს? თუ ეს ასეა, მაშ „ყარამანიანი“, „ქალ-ვაჟიანი“ და ათასი სხვა იანები და ანები, რომლებსაც არა მცირედი მუშტრები ამოუჩნდებათ ჩვენ ხალხში, მაღალი ხელოვნური ნაწარმოებნი იქნებიან! შეიძლება გამომცემლები მართლა ასე მსჯელობენ, მაგრამ ჩვენ ამის შესახებ ვერაფერს ვერ ვიტყვით. შევნიშნავთ მხოლოთ აქ იმას, რომ „ვეფხის-ტყაოსნის“ მაღალი ხელოვნური ღირსება მარტო იქიდან კი არ მტკიცდება, რომ მას ხალხში ბევრი მუშტარი ჰყავს; პირ-იქით, ხალხში უმსგავს თხზულებებს, უმრავლეს შემთხვევაში, უფრო მეტი გასავალი აქვთ ხოლმე.

ამ მცირე შენიშვნით ჩვენ გვსურს მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ერთ გარემოებას. ჩვენი საზოგადოება ერთობ გადაჭარბებით ბრმათ უყურებს „ვეფხის-ტყაოსანს“. ეს გარემოება უნდა ჩაითვალოს მავნებლათ. ბევრი იმ აზრისაა, მაგალ., რომ, კაცმა თუ წაიკითხა ეს ნაწარმოები, მერე მისთვის აღარაფერი საჭირო აღარ არის. „ვეფხის-ტყაოსანში“, მაგალ., ნათქვამია, რომ ,,ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“, მაშ აქ ქალების ემანსიპაციაზეა ლაპარაკიო; ან და: ,,მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონებიო“, მაშ აქ ბატონ-ყმობის მოსპობაზეა სჯაო და სხვა ამგვარები. ნუ თუ ეს დაცინვა არ არის ყოველივე საფუძვლიანი მსჯელობისა? ან რაზეა, კაცმა თქვას, ყოველივე ეს ყოყოჩური მსჯელობა დამყარებული? კადნიერ უვიცობაზე და ბრმა თაყვანისმცემლობაზე, ვუპასუხებთ ჩვენ: აბა შენ თითონ გასაჯე, მკითხველო. „ვეფხის-ტყაოსნის“ უკანასკნელი გამოცემის „წინასიტყვაობისებურის“ ავტორი გვაუწყებს შემდეგს: ,,ჯერ დედათა დამოუკიდებლების, ანუ ეგრეთ წოდებული ემანსიპაციის შესახებ კრინტიც არ ყოფილა არსად დაძრული და ქართველობამ კი შოთა რუსთველის წყალობით იცოდა, რომ „ლეკვი ლომისა სწორია და სხვ...; ჯერ ყველა პირად ინტერესებსა და ანგარიშებში იყო გართული, და ქართველობას კი პირზე ეკერა, დროშაზე ეწერა და შესისხლ-ხორცებული ჰქონდა ის აზრი, რომ „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“; ჯერ ყველა სხვისი სიკეთისა და საუნჯის გამოხვრა-გამოწიწკნაში ათენ-აღამებდა და ქართველობას კი ჭეშმარიტებათ ჰქონდა აღიარებული, რომ „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“; ,,ჯერ კიდევ“...[1]) მაგრამ ამდენი ჯერებით“ ჩვენ იქამდის მივახწევთ, მკითხველო, რომ ყოველივე ჭეშმარიტების აღმოჩენას შოთა რუსთაველს და ქართველობას მივაწერთ. მაშ ჩამოდექით ყველანი: ჩვენ, ჩვენ ვიყავით მარტო, თორემ თქვენ სხვები რის მაქნისები ხართ, რა გაგიკეთებიათო, რომ თავი მოგაქვთ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებითო. აი, თვით წინასიტყვაობისებურის ავტრის სიტყვებიც: ,,ეს ის დრო იყო (შოთა რუსთველის დროზეა ლაპარაკი), როცა გარეშე მტრები კრინტის დაძვრასაც ვერ გვიბედავდენ; ხოლო უკეთუ გაბედავდენ (ვაი უბედურთ!), დამარცხება არ აცდებოდათ. ეს ის დრო იყო, როცა შინაური კეთილ-დღეობა ჩვენის ქვეყნისა მრეწველობისა და მეურნეობის მხრით აყვავებული იყო და ბედის მოჩივარს ვერ იპოვიდით. (დახეთ, სადამდის მიდის ავტორის თავხედობა). ეს ის დრო იყო!..“[2]) მაგრამ კმარა, მკითხველო! ნუ თუ ყოველივე ამგვარი გალიმატია ისტორიის დაცინვა არ არის და ჩვენი აბუჩათ აგდება? ნეტა ვიცოდეთ მაინც ამ სიტყვების დამწერს, როდისმე გადაუფურცლავს და ან თვალით უნახავს ჩვენი ისტრიის მატიანე? მაგრამ ხომ იცი, მკითხველო: ჩვენში ამაებით არ იწუხებენ თავს, ჩვენში ყოყოჩობას და პრტყელ-პრტყელ ფრაზებს უფრო ლაზათიანათ ეწყობიან, რომლებსაც საფუძვლათ უდევთ მარტო უვიცობა და ბრმა-თაყვანისმცემლობა. აი, აიღეთ თუნდ ,,ვეფხის-ტყაოსანი“. ჩვენში მზათ არიან წინასიტყვაობის ავტორსავით ბრმათ ეთაყვანონ არა თუ ამ პოემის მთელ ფრაზებს, ანუ სიტყვებს, არამედ წერტილსაც, მძიმესაც, ოღონდ კი ეს უკანასკნელი ,,ვეფხის-ტყაოსანში“ იყოს დასმული. მაგრამ

1) ,,წინასიტყვაობისებური“ გვ. VI—VII.

2) ibid გვ. V.

ახლა ბ. ალ. ს—შვილმა [3]) ცხადათ და საუუძელიანათ დაგვანახვა, თუ რა ხარისხამდის ბრმა-თაყვანის მცემელი ყოფილა ჩვენი საზოგადოება. ამ პატიეცემულ მკლევარმა დაგვიმტკიცა, რომ არა თუ ცალკე სიტყვები და ფრაზები, არამედ მთელი ადგილები „ვეფხის-ტყაოსნისა“ ყალბი ყოფილა, და როგორც ამ ნაირი მახინჯი და უმსგავსი; და ჩვენ საზოგადოებას კი ყველა ეს ყალბი და უმსგავსი ადგილები მარგალიტებათ მიაჩნდა. აქ რადგანაც სიტყვამ მოიტანა, აი რას უნდა მივაქციოთ ჩვენი საზოგადოების ყურადღება: საჭიროა ერთხელვე ეს ყალბი ადგილები გამოიძეგოს „ვეფხის-ტყაოსნიდან“. ამიტომ შემდეგისათვის მაინც უნდა დაევალოთ გამომცემელთ, რომ იმათ ამ ყალბი ადგილებით კიდევ აღარ დაბეჭდონ ეს ლიტერატურული ნაწარმოები, და ამასთანვე ყოყოჩურ მსჯელობასაც უკლონ. ჩვენ კი მაინც, მთელი ჩვენი ძალ-ღონით, ვეცდებით მწერლობიდან მაინც განვდევნოთ ყოველივე შეხედულება, რომელიც ყოველ გვარ საფუძველს მოკლებული იქნება.

აქვე არ შეგვიძლია არ მოვიხსენიოთ ბ. კ. თაყართქილაძის მეორე გამოცემა, სახელდობ: „თავდგირიძიანთ გვარის ღალატი და ალი ფაშა თავდგირიძე“ ზ. ჭ—სა; ბ. ზ. ჭიჭინაძე საკმარისათ ცნობილია ჩვენ მწერლობაში, ამიტომ მასზე აქ ჩვენ არაფერს ვიტყვით. შევნიშნავთ მხოლოთ, რომ შარშან გამოიცა მისი ბროშიურა: „ქართველები სპარსეთში და ქართველ. მაჰმადიანი ოთამ ონიკაშვილი“, რომელიც შინაარსით რამდენიმეთ მოგვაგონებს იმ წიგნაკს, რომელიც ზეით დავასახელეთ: ორივე ეს წიგნაკი გვეუბნება საქართველოდან ძალადობით გადასახლებულ და გაუბედურებულ ქართველებზე. მაგრამ, მეორე მხრით, დიდი განსხვავებაც არის იმათში: თუ ერთი იმათგანი („ქართველები სპარსეთში“ და სხვ.) გვეუბნება გარეშე მძვინვარე მტერთა ძალადობით ქართველების გადასახლებაზე სპარსეთში, მეორე („თავდგირიძიანთ გვარის ღალატი“) მოგვითხრობს, რომ მსგავსი გარემოება—ქართველების ძალით გადასახლება სხვა ქვეყანაში და გადარჯულება—შესრულდა შინაგან მტერთა ღალატით და სამარცხვინო ბოროტი მოქმედებით. ბ. ზ. ჭიჭინაძეს აუღია ერთი ეპიზოდი, ერთი ხანა, გურიის ცხოვრებიდან; მაგრამ ეს ეპიზოდი არის ფრიად საინტერესო. ის აქ გვიხატავს მოკლეთ, თუ რის მომქმედნი და რის ჩამდენი იყვენ ეს დროთა-ეთარების გამო განლაღებულნი და აღვირ წახსნილი თავადნი, რის შედეგს ახლაც კი ვხედავთ ჩვენ თვალწინ თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ იმ ამბისა, რომელიც აწერილია „თავდგირიძიანთ გვარის ღალატში“. „თავდგირიძეები“ მეოხებით—ამბობს ავტორი—ჩვენ სამშობლოს დიდი ზარალი მოეოვიდა, გურიას ამათ დიდი უბედურება დაატეხეს თავზე: ესენი უსისინებდენ ძმას ძმაზე, აზნაურს აზნაურზე“ და სხვ. (გვ. 27). „თავდგირიძეებიდან გაყიდული გოგო-ბიჭებით აქამდის სავსე იყო მისირი, დიარბექირი, სტამბოლი და სხვა ადგილები“ (გვ. 28). „ჩვენ აქ ამ გაყიდ-გამოყიდვაზე—გვეუბნება ავტორი—ერთობ ადვილათ ელაპარაკობთო. მაგრამ ამ გაყიდვის დროს ყმაწვილებისაგან დიდი გოდება და ტირილი ისმოდა ხოლმე, დიდი წყველა და შეჩვენება მათის დამყიდვისა, გმობა, მაგრამ დამყიდავს, ვინ რას უზამდა (გვ. 20).

ერთი სიტყვით ეს წიგნაკი ჩვენ იმდენათ საინტერესოთ მიგვაჩნია, რომ ყოველ ქართველ მკითხველს ვურჩევთ იმის წაკითხვას; მხოლოთ ჩვენ აქ ერთ ფრიად საყურადღებო გარემოებას მივაქცევთ მის ყურადღებას. ავტორი გვეუბნება შემდეგს: „ეს მასალები მე მოვიპოვე ოზურგეთის სამაზრო სამართველოს ძველ არხივის ქაღალდებში, რომელ არხივის 120 ფუთი ქაღალდები ოზურგეთის კაბრებზე იქმნა დაყიდული. მე აქა-იქ მეწერილმის დუქნებში შეკრიბე ესენი და „წერა-კითხვის საზოგადოებას“ გადავეცი. გურიამ ამითი დიდ-ძალი მასალები დაკარგა და ნამეტურ გლეს-კატობამ“ (გვ. 20). გასაჯდ მკითხველო, შენ, თუ რამდენათ სამწუხაროა ის გარემოება, რომ ამგვარი ძვირფასი მასალები ჩვენი ისტორიისა უკულმართობის და შეუგნებლობის გამო ასე იფანტება და იკარგება, ჩვენდა სამარცხვინოთ.

ჩვენ მივიღეთ „მოამბის“ აპრილის ნომერი. ამ მცირე შენიშვნაში, არ არის ადგილი ეილაპარაკოთ იმაზე, თუ როგორ აკმაყოფილებს ხსენებული გამოცემა ჩვენი თანამედროვე მკითხველი საზოგადოების მოთხოვნილებას. შევნიშნავთ მხოლოთ, რომ მკითხველს ცოტა არ იყოს, გაუცრუვდა იმედი „მოამბეზე“. ამით აიხსნება ის გულ-გრილობა, რომელსაც იჩენს ჩვენი საზოგადოება „მოამბეზე“ და რომელსაც ამას წინეთ იხსენიებდა ბ. იაკობ სვიმონიძე გაზ. „ივერიაში“. ვინ არის დამნაშავე აქ? მკითხველი საზოგადოება, თუ თვით რედაქციის დაუდევრობა? მეორეზე ჩვენ არაფერს ვიტყვით. რაც შეეხება მკითხველ საზოგადოებას, ჩვენ დარწმუნებით ვამბობთ, რომ ეს უკანასკნელი ახლა იმდენათ მოვიდა თვით-ცნობიერებაში, რომ იმისთვის ბბ. სვიმონიძეების გოდება-ყვედრება სრულებით საჭირო აღარ არის.

ეტყობა რედაქციას დიდათ უმეცადინია, რომ ეს

---

[3]) იხ. ჟურნ. „მოამბე“ 1895 წ. №№ 11, 12 და № 1896 წ. № 3; სტ.: „ვეფხის-ტყაოსნის“ „ყალბი ადგილები“. ამის შესახებ შემდეგ.

ნომერი, რაც შეიძლება, კარგი და მრავალ-შინაარსიანი გამოსულიყო; და მართლაც, ეს ნომერი სწორეთ მრავალ-შინაარსიანია: თქვენ აქ წაიკითხავთ ორიგინალურ და ნათარგმნ-ბელეტრისტიულ ნაწარმოებს, წმინდა სამეცნიერო და ისტორიული შინაარსის წერილებს, უცხოეთის მიმოხილვას და სხვ. მაშასადამე, ამ მხრივ მკითხველს არა ეთქმის-რა. მხოლოთ საქმე ის არის, რომ ყოველსავე ამას რაღაც მკვდრის ფერი ადევს; თქვენ გრძნობთ კითხვის დროს, რომ აქ რაღაც აკლია, თორემ ისე ყველაფერი თავის ადგილზეა. ეს რაღაც, არის ის განჰაცხოველებელი ძალა, რომელიც თითქმის ინსტიკტიურათ უნდა შექმნას ყოველივე დრო-გამოშვებით გამოცემამ და თითოეული თავის წერილი ასე თუ ისე აუცილებლათ უნდა აღბეჭდოს ამ განმაცხოველებელი ძალით, ურომლისოთაც ის ვერასოდეს ვერ მოიპოვის თანაგრძნობას მკითხველ საზოგადოებაში. ჩვენ ამ მოკლე ბიბლიოგრაფიულ წერილში ვერ შევეხებით ვერც ბელეტრისტიულ ნიწილს და ვერც პროფ. პეტრიაშვილის მეცნიერულ წერილს „რძეზე"; ჩვენ გვსურს აქ მხოლოთ მკითხველის ყურადღება მივაქციოთ „მოამბის" ისტორიულ ნაწილს.

უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ბოლო დროს „მოამბის" რედაქცია უფრო სასარგებლო გზას დაადგა: ეს ჩვენი ისტორიის დაუბეჭდავი მასალის გამოქვეყნებაა. ვინ არ იცის, რომ ჩვენი ისტორიის უმთავრესი მასალა ჯერ ისევ ხელ უხლებელი განისვენებს სხვა-და-სხვა არხივებში; ეს კიდევ კარგი: უმრავლეს შემთხვევაში ეს მასალა პირდაპირ იკარგება, საუკუნოთ ჰქრება ჩვენთვის სხვა-და-სხვა მიზეზის გამო. ამიტომ რაც ადრე გამოიცემა ჩვენი ისტორიის მასალა, მით ეს ორნაირათ იქნება ჩვენთვის სასარგებლო: ერთი ისა, რომ ამ აურაცხელი მასალის რამდენიმე ნაწილი მაინც გადარჩება გაქრობას, და მეორეც ისა, რომ ჩვენი წარსული ცხოვრების სვე-ბედსაც თავის დროზე შევისწავლით. ამ მხრით „მოამბის" რედაქცია უმეტესათ აქცევს ყურადღებას მე-XVIII საუკუნის ბოლოს და მე-XIX საუკუნის დასაწყისს. მეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რამდენათ საინტერესო და ღირს — შესანიშნავია დასახელებული ხანა ჩვენი ისტორიისა. არც ერთი ისტორიული ეპოქის შესახებ ჩვენში არ დარჩენილა იმოდენა მასალა, რაც დარჩა ამ ეპოქის შესახებ; ამას, რასაკვირველია, თავის მიზეზები ჰქონდა. უკანასკნელ „მოამბის" ნომერში, თუ სახეში არ ვიქონიებთ „საქართველოს სიძველეს", რომლებიც დიდი ხანია იბეჭდება, როგორც დამატება, მოთავსებულია ორი მეტათ საყურადღებო ისტორიული მასალა: „დასტურლამა" ნიკოლოზ დადიანისა და „მეფე სოლომონ მეორის დროის წერილები". ამ „წერილებში" ჩვენ თვალ-წინ გამოდიან ორი სხვა-და-სხვანაირათ შესანიშნავი პირი იმერეთისა ამ საუკუნის დასაწყისს: ერთია სოლომონ ლეონიძე და მეორე ზურაბ ქაიხოსროს-ძე წერეთელი. ხსენებულ წერილებში აშკარათ გამოსჭვის ორთავეს ხასიათი: ერთის ზნეობრივი სიმაღლე, და მეორეს სიმდაბლე და პიროვნული ანგარებით ხელმძღვანელობა სახელმწიფო საქმეების მართვაში. ჩვენ ალტაცებაში მოგვიყვანა, მაგ., სოლ. ლეონიძის შემდეგმა სიტყვებმა, რომლებითაც იგი მიმართავდა ზ. ქ. წერეთელს: „შენ კაცი ხარ და არა ღმერთი. გინდა, რომ ცა და ქვეყანა შენ ფიქრებზე ბრუნვიდეს, ეი, ადამ, არ იქნება. თუ კაი მონარდე ბრძანდები, იაგანში დუშაში ითამაშე. რა გაჯავრებს, მართალია, დიდი კაცი ხარ, ათასი კვამლი გეყოლება, მაგრამ ქვეყნის ქარტა რომ არის დახატული, თუ კაცი ხარ იმაში ან შენს საჩხერეს იპოვნი, და ან შენს სასახლეს მიაგნებ, თუ სად ზიხარ ან სადა გძინავს. თურმე არა ყოფილხარ რა და რას დიდგულობ..." (გვ. 85). საერთო მდაბალ გრძნობათა გამეფების დროს, სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს აგრეთვე მკითხველზე ნიკოლოზ დადიანის სიტყვები, მიმართულნი მის მთავრის და უფროსის წინაშე. „თუმცა-ღა კმა სამყოფელათ შიში შემიპყრობს მე ესე ვითარათ კადნიერათ მოხსენებისათვის — ეუბნება ის ლევან დადიანს — გარნა მრავალნი მიზეზნი მაიძულებენ მე გარეგანგდებათ შიშისა და თქმათ უმჯობესისა, და უმეტეს არცა-ღა სულნი ერთგულებისანი დამაყენებენ მე, რათა არა ვთქვა იგი რაი უმჯობეს არს" (გვ. 47). სოლომონ ლეონიძის და ნიკოლოზ დადიანის მაგალითები ამგვარათ გვიმტკიცებენ ჩვენ, რომ იმ საერთო დაცემის დროსაც გვყოლიან თითო-ოროლა მაღალ-სულოვანი პირნი, ალსავსე მაღალ-განძრახულებაებითა. ნიკ. დადიანის „დასტურ-ლამა", რომელიც ამ ნომერში დამთავრებული არ არის, თავის შინაარსით დიდათ შესანიშნავი არ არის, რადგანაც იგი აქ მხოლოთ მთავრის კერძო შინაურული საქმეების მოწყობას ეხება, თუმცა-ღა, მეორე მხრით, აქაც ვხედავთ, თუ როგორ ყურადღებას აქცევდა ავტორი ხალხის მართვა-გამგეობის საქმეს.

ამავე ნომერშია აგრეთვე მოთავსებული ბ. ლ. ალნიაშვილის სტატიის „სპარსეთი და იქაური ქართველების" გაგრძელება, მაგრამ რადგანაც ავტორს უმთავრეს თავის საგანზე ჯერ თითქმის არაფერი უთქვამს, ამიტომ ჩვენც ჯერ-ჯერობით მასზე არაფერს ვამბობთ.

მ.

ნ უ შ ა.

(მოთხრობა *)

XIII.

ჯაგუს ვაჭრობას და იმის ოჯახის ვითარებას, ძალიან ადევნებდენ თვალს ის ვაჭრები, რომლებსაც იმასთან ჰქონდათ აღებ-მიცემა, ან რომლებსაც შურდათ იმისი სიკეთე და თავიანთ სასარგებლოთ მიაჩნდათ იმისი დამხობა. ესენი დარწმუნებული იყვენ, რომ ამგვარი ცხოვრება ცუდ ზეგავლენას იქონიებდა ჯაგუს შეძლებაზე და ვაჭრობაზე; პირველები ეჭვით უყურებდენ იმას, რადგან ეშინოდათ ჩვენი არა დაიტანოს რაო, მეორეები სიამოვნებით ხელებს იფშვნეტდენ, რადგან იცოდენ, რომ „სალხინოს“ დაქცევა იმათ აშენებას მოასწავებდა. ჯაგუს კარგათ ესმოდა ეს ყველაფერი.

დადგა გაზაფხული. ეს ის დრო იყო, როცა კორსაიას ვაჭრობა ცხოველდებოდა, ერთი ათასათ მატულობდა. სწორეთ ამ დროს დახვდა ჯაგუ მთლათ მომზადებული. ფული ჰქონდა იმას გადარჩენილი, აპირებდა იმ ბაღის შეყიდვას, საცა ვაჭრობა ჰქონდა გამართული. ახლა ამისთანა ფიქრების დრო აღარ იყო. ამ ფულიდან ნაწილი კიდეც დაეხარჯა. გადაწყვიტა, რომ ეს ფული „სალხინო“-ს უკეთესათ მოწყობაზე და ვაჭრობის გაძლიერებაზე მოეხმარა. ჯერ მთლათ გაუსწორდა ყველას, ვისგანაც კი რამე საქონელი წამოეღო სავაჭროთ და ამით დიდი ნდობა დაიმსახურა სოვდაგრებისაგან. მერე გააშვენიერა და სწორეთ რომ კეკლუცათ მოაწყო თავისი ბაღი. მომღერლები, მემუსიკეები, მუშაითები წინათვე დაიქირავა, მსახურები გაამრავლა და უკეთესებით შეავსო; მეეტლეებს გაურიგდა მუშტარი ნაკლებ ფასათ მიეყვანათ იმასთან და თითო გზა მუშტარზე გადაკვეთილი საჩუქარი დაუნიშნა. ვინ იცის, კიდევ რამდენი საშუალება იხმარა! გაზეთებში ახლათ დაბეჭდა განცხადებები. ქალაქი აალაპარაკა, ჯერ ხომ გაზაფხული ახალი დამდგარი იყო და „სალხინო“-ს მაშინვე მიაწყდა ხალხი. ჯაგუმ გამოცდილი თვალით აწონდაწონა საქმე და წელში გაიმართა, გამხიარულდა: დარწმუნდა, რომ ამ ერთ ზაფხულის მოგებასთან მთელი წასული ხარჯები უბრალო ხარჯათ გამოჩნდებოდა. ეს ნამდვილ ასეც მოხდებოდა, თუ ბედს არ ემტყუნა იმისთვის.

მთაწმინდობა დღე დალამდა. კარგი დარი იდგა. ქუჩები ამშრალიყო, ქუჩის ტალახი კი ჯერ მტვრათ არ ადენილიყო. ბუნება გაღვიძებულიყო, გამოფხიზლებულიყო. ქალაქსაც კი დატყობოდა ბუნების გაახლება; თბილისის მიდამო ჯერ არ იყო გატუსული და უდაბნოთ გადაქცეული, ისევ მწვანე ემოსა; ქუჩების ნაღიტა და დაჩაგრული ხეებისთვის სიცხეს ჯერ ფოთლები არ შეეხრუკა, მტვერს ჯერ მძიმეთ არ დაეტვირთა ისინი. მთვარე კაშკაშებდა. თუმცა შეღამებული იყო, მაგრამ ქუჩებში ისევ ირეოდა ხალხი. სადღესასწაულოთ ეცვათ, რადგან დღეს მამადავითში ელოცათ. საპყრები თუ დარჩენ შინ, თორემ ვისაც შეეძლო წავიდა, რომ დაეტკბო თვალი ბუნების შვენიერებით, რომელიც მთიდან მოჩანს.

მთაწმინდის მეიდნის პირში, ჯაგუს სახლის წინ შექუჩებულიყო ხალხი და ფანჯრებს შეჰყურებდენ. სახლიდან საკრავებისა და დაირის ხმა გამოისმოდა: ჯაგუს დიდი მეჯლიში ჰქონდა დღეს. სტუმრები გულით მხიარულებდენ: მისპინძლის სიუხვეს და გულღიაობას გაეხალისებია ისინი. ახლა კორსაიას ამისთანა ხარჯებისა აღარ ეშინოდა, რადგან ფული ნიაღვარივით მოუდიოდა. ჭაღითა და სანთლებით განათებულ დარბაზში ცეკვა გაემართათ. მძიმეთ მორთული ქალ-რძალი სიშვენიერეში ერთმანეთს ეჯიბრებოდა. რეზიკო მოთავობდა ცეკვას. რუსთველურათ წვერ-შეკვეცილი, ულვაშ ფაქიზათ გადაგრეხილი, თმა-ხუჭუჭა „კნიაზი“ ქალების გართობასა ცდილობდა. ყურთმაჯებ გადაყრილი ბანოშ ხავერდის მოკლე ახალუხში, პლისის განიერ შარვალში, რომლის ტოტები კოხტა წაღებში ჰქონდა ჩატანილი, შეჭედილი ქამარ-ხანჯლით მორთული, ტანადი რეზიკო ყველასა ხიბლავდა თავის ცეკვით. ფეხების ისე ცქვიტათ ნძრევისა და მოხდენილი თამაშობისათვის ვგონებ მარტო ვარჯიშობა არა კმარა, დარწმუნებული ვარ, რომ ამას ნიჭი უნდა, განსაკუთრებითი ნიჭი. ფარჩა ხავერდში ჩამჯდარი, თვალმარგალიტით მორთული დიასახლისი სურვილებს აღვიძ-აღელვებდა. იმის შემხედავ კაჭკაცებს ჭკუა

*) იხ. „კვალი“ № 24.

დაბნეოდათ და ეშხით მთვრალები ცოლებს თვალს არიდებდენ. თავ-მომწონე ჯაგუ სიამით და სიამაყით აღტაცებაში მოსულიყო, ფრთები შესხმოდა, ეასკელაევებს ეთამაშებოდა.

შეწყდა ლეკური. სული მოითქვეს საზანდრებმა. ჩამოატარეს ტაბაკა ხილეულ-ტკბილეულებით, მათრობ-მაგრილებელი სასმელებით. გაიღო კარები და მოლამაზებულმა ძიძამ სულ ბაბთებით და აბლა ბუდესავით ნაზ არშიებით მორთულ ტანისამოს-სახეევებში შეხვეული ბავში შემოიყვანა, დედა მიეგება ეაქს, ხელში აიყვანა და ჩაჰკოცნა. სტუმრები გარს შემოეხვიენ, ანგელოზიეთ ყმაწვილს ჰკოცნიდენ, უალერსებდენ, ესაყვარლებოდენ. პატარას მოწონდა დართული ხალხი, ათვალიერებდა, უცინოდა, ხელებს აწვდიდა. დედა აღტაცებაში მოვიდა, ასწია ყმაწვილი მაღლა და ჰაერში შეათამაშა გაჩაღებულ ხომლისაკენ. ბავშს ესიამოვნა, კუჭკუჭი დაიწყო. გახალისებულმა დედამ კიდევ შეაგდო ყმაწვილი. ყმაწვილის შეთამაშების დროს უეცრათ მარჯვენა ხელის თითები სამაჯურის ჯინჯილებში გაება, ბავში დაეშო, დედამ სტაცა მეორე ხელი, მაგრამ ვეღარ შეიმაგრა: ბავში თავდაყირა დაენთხო იატაკს. გაისმა საზარელი კივილი. აიტაცეს პატარა. ძლივს-ღა ფეთქავდა, ქალი ხელებ-გაწვდილი გაშეშდა; ღიმილი ტუჩებზე შეჰყინოდა, სახე კი დაჰპრანჭოდა. ჯაგუმ მოჰკრა თვალი გასისხლიანებულ პატარას, იგრძნო უბედურება, გადაფრინდა ვეფხვივით და ხანჯალ-ამოწვდილი შეჩერდა მკელელთან, მაგრამ მარჯვენა დაუდუნდა, ხანჯალი დაუშვა: გაბეჩავებული სატრფო დაინახა. მაგდას გული შეწუხებოდა, პირს სისხლი მოდგომოდა; აბრუნებდენ. ეს ყველა ერთი თვალის დახამხამებზე მოხდა, ელვასავით, სწრაფათ.

XIV.

შაეი დღე გაუთენდა სახლობას: ექიმების ცდამ ამაოთ ჩაიარა, ყმაწვილი გათავდა. ცოლ-ქმარი გონს ვერ მოსულიყვენ, ერთმანეთს ერიდებოდენ, თვალი ვერ გაესწორებინათ ერთმანეთისთვის.

ქალი ხედავდა, რომ დიდი უბედურება დაატყდა თავს, რომ ამ უბედურობის მიზეზი თითონ იყო, თითონ ნუშო, ის ნუშო, რომელსაც აქამდინ ყველა შენატრობდა. ახლა ვინ იცის რამდენი უგებს ნიშნს, რამდენის გული იღიმება ბოროტი სიამით. ვინ იცის რა თვალით უყურებენ ახლა იმას.

— ყველას ესმის, რომ უბედური შემთხვევა იყო, მოულოდნელი, მაგრამ ჯიბრით ყველა მე დამგმობს, დამკრულაეს, მკელელათ გამომიყვანს, შვილის მკელელათ... ვიცი, რა ბოროტებიც არიან! ფიქრობდა ქალი და ჯავრით გული უკვნესოდა, უნდოდა ამ წუთში კბილით დაეგლიჯა ისინი, ის მეპორეები, უბრალო საქმეს საგანგაშოთ რო ხდიან, რწყილს რომ აწვენენ—და აქლემს აშობინებენ, უბედურ შემთხვევას რომ განზრახ აზვიადებენ...

— მაგრამ ეს საცოდაობა განა თითონვე დიდი და საშინელი არ არის, რადა გაზვიადება უნდა! ან როგორ-ღა შეიძლება იმისი გაზვიადება?! ეჩურჩულებოდა იდუმალი ხმა და ბოღმა ყელში ებჯინებოდა, სუნთქვას უხუთავდა. უნდოდა ჰყოლიყო ვინმე ნუგეშის მცემელი, უნდოდა ეისიმე უბეში დაემალა ტანჯული თავი და ცრემლით ჩამოებანა გულის ჭანგი, მაგრამ გვერდს არავინა ჰყავდა ისეთი. ცრემლი თვალებზე აშრებოდა; ცრემლის ნამები ცეცხლის ალათ გადაქცეულიყვენ და გენიას უკიდებდენ ისეც დადაგულ გულს.

გამწარებული დედა ცდილობდა დაეხატა გონებაში თავისი პატარა, მაგრამ ვერ წარმოედგინა მკაფიოთ: არც იმისი სახე ახსოვდა ნათლათ, არც იმისი თვალები და თვალების გამომეტყველება, არც იმისი ხმა; ვერ წარმოედგინა ის ვერც მძინარე, ვერც გამოღვიძების დროს, ვერც წოვნაში. კარგათ მყოფი კოწია ნისლით იყო მოცული იმის გონებაში. მაშ რა იქნებოდა, როცა გაიშორა მშობელმა შვილი ხორციელათ და აღარ ინება მჭიდრო კავშირი ჰქონოდა იმასთან, ზნეობით შეერთებულიყო თავის სისხლ-ხორცთან! მარტო გასართობ საგნათ-ღა მიაჩნდა ის, მშობლის მოვალეობა, რომელიც თუ ერთი მხრით ტანჯაა, მეორე მხრით მხიარულება—ნეტარებაა, სხვას მიანდო. მაგრამ ნათლათ, საშინლათ ნათლათ იდგენდა დედა თავის შვილს იმ წუთს, როცა ყმაწვილი სისხლში გაბასრული აიტაცეს იატაკიდან და პატარამ ტანჯული თვალები დედისკენ გადაატრიალა, თითქო უსაყვედურებდა, რათ მომისპე ნორჩი სიცოცხლეო.

ქალი მოსვენებას ვერსად პოულობდა, სულით იტანჯებოდა, ბრაზდებოდა, იქამდი ბოროტდებოდა,

რომ პაწაწას მტრულათ უყურებდა, იმის გაჩენის დღესა წყეველიდა, თითქო გაფრენილი ანგელოზი რამეში ყოფილიყო დამნაშავე.

— რომ არ გამჩენოდა, მუცელში გამწყალებოდა, ეს უბედურება არ დამემართებოდა! გაიელებდა გულში გამწარებული.

ულმობელმა ცხოვრებამ შეანათა ქალს თავისი სისხლ-მორეული თვალები და თავზარი დასცა.

ჯაგუს ვერ შეეთვისებია ის აზრი, რომ კოწია აღარა ჰყავდა, რომ იმის პაწაწა გვრიტს დაეტოვებია ქვეყანაზე თავისი ბუდე და ზეცას გაფრენილიყო. არა ჯეროდა ეს... ეგონა, აგერ გავიგონებ ყმაწვილის ჭუკჭუკს, აგერ გამოიყვანს ძიძა და მოგვერისო. დაავიწყდებოდა და ოთახში ფეხ-აკრეფით შედიოდა, ბავშს ძილი არ შეუფრთხოვო. გაახსენდებოდა ნამდვილი, წარმოუდგებოდა თვალ-წინ გისისხლიანებული პატარა და ალმური აუვიდოდა სახეზე, ბრაზები მოერეოდა, უნებურათ ხელი ხანჯლისკენ მიჰქონდა, ტვინ-ამღვრეულს უნდოდა მკერდი გაეპო ამ უბედურების თავხედი მოქმედისათვის; მაგრამ შეხედავდა თავის ნუშოს, თან თითქო გაოცებულს, თან სევდიან ნუშოს, დაინახავდა როგორ დაბეჩავებულიყო, როგორ დაჩაგრულიყო ეს თავ-მომწონე შვენება — და გული უკვდებოდა.

— ამ საწყალისა რა ბრალია? უბედური შემთხვევა იყო, უცაბედათ დატრიალდა საცოდ-ვობა. რა ნაირათ იტანჯება! გაფთხილება უნდა: თუ ესეც დავკარგე, კაცს რომ წყალში წალდი ჩაუვარდა და ცულიც ზედ მიაყოლა, ისე მომივა. საწყალი! პირდაპირ ვერ შემოუხედია... გაიფიქრებდა ჯაგუ და უნდოდა ნუგეში ეცა მეუღლისათვის, უნდოდა მოხვევნოდა. მიუახლოვდებოდა, მაგრამ სატრფოს მაგივრათ თავის კოწიას მკვლელს დაინახავდა და საალერსო სიტყვები პირზე ეყინებოდა, ნუგეშის საცემლათ მომზადებული გული სიმკაცრით ინთებოდა, მოსახვევნათ გაშლილი ხელი სამტროთ შეხებას ლამობდა.

იტანჯებოდენ ცოლ-ქმარი, სევდა შემოწოლოდათ, სევდის გამქარვებელი კი არავინა ჰყავდათ. მაგდა რომ ფეხზე ყოფილიყო, იქნება ცოტათი მაინც დაეშუშნა იმათი წლული, იქნება სხვა რამ საგნისათვის მიეექცია იმათი აზრი, იქნება გულის გადასაყოლებელი რამ მოეფიქრა, მაგრამ მაგდას თითონ გაჭირებოდა თავი, თითონ იმას უნდოდა მიხედვა და პატრონობა: უკანასკნელ დღეში იყო. ხომ სულ ავათმყოფობდა, ზერა ქვერათ იყო, იმ გაზაფხულზე ძალიან დარია ხელი სენმა; უბედურ შემთხვევას შემდეგ ხომ მთლათ მოწყდა, ლოგინათ ჩავარდა. ექიმმა უთხრა ჯაგუს, სულ რამდენიმე კვირა-ღა იცოცხლებსო. მართლა მალე გადაიცვალა მაგდა და დაზარალებული ქალ-სიძე უფრო დააღონა.

ვ. ბარნოვი.

(შემდეგი იქნება)

სახუმარო გასართობი

თათბირი მიშოსი, კოლასი და ივანიკასი

ქაჯეთის სალარო როგორ აიღონ

მიშომ თქვა, ეიტყვი სიტყვასა, ვეფე ჩემი არ დამცდარია,
ჩვენ ცოტანი ვართ, სხვები კი ბევრთაგან საომარია;
იმათთან ბრძოლა არ ძალგვიძს, არ ეგონებ საკვეხარია?
თუ სინიდისს დავეკითხეთ, სულ დაგვეხშება კარია.

—

კოლამ თქვა, გეტყვით თათბირსა, თქვენც იტყვით მოსაწონია,
ცდა ბედის მონახევრეა, ესეც ხომ გაგიგონია;
ასი თუმანი მომეცით, ვითომც რომ არა გექონია!..
ფულების ძალა სხვა არის, ვინ არა დაიმონია.

—

რკინის ქალამანს ჩავიცვამ, წავალ, დავიელი დაბასა,
ვისაც კენჭი აქვს, ბეს მივცემ, მოგიტანთ მათგან ამბავსა,
სხვა თათბირისა არ ვიცი, ვინ შემეცილოს ამასა?!
არ შეგისრულოთ, ფუ!.. მითხართ, ნურც მომცემთ ბანკში ალაგსა.

—

ივანიკამ თქვა: ჰე, კოლა, მოყვასნი არ გიჩივიან:
ხელმარჯვეთ ჯოხის მქნეველსა, შენებრსა ვერვის იტყვიან.
როს გაგვიჭირდეს, დასცხებდე, თმას სისხლნი შეუსერიდიან,
შიში შეიქმს გამარჯვებას, მებრძოლნიც ასე ქმნიდიან.

—

ამას კი გეტყვით თქვენი ვსცან, მე გმირთა მეტი
გმირობა!
ეგ ერთგულება მაკვირვებს, გქონიათ ერთი პირობა;
ვიცი, გწადთ მტრისა სიმარცხე, მაგრამ რას იტყვის
ზრდილობა!..
გავცრუვდეთ და დაგვამარცხონ, პარტიამ იწყოს მცი-
რობა.

—

საერთოთ ასე დაასკვნეს, კენჭი ვიშოვნოთ ხუთასი;
ახლავე კოლა გავგზავნოთ, რომ დაურიგოს მათ ფასი;
ვინც ახლა გამომადგება, იქნება ჩემი ძმა ისი;
მაგრამ ვინ იცის, რას იზამს, იგი წყეული ივნისი.

მ—ი.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

განცხადება

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება

ბ ი უ ს ტ ე ბ ი

გაბრიელ ეპისკოპოზისა

ფასი 1 მან. 40 კაპ.

გამოვიდა № 5 „ჯეჯილი“ (მაისისა) და დაურიგდა ხელის მომწერლებს.

თბილისის ქალაქის საბჭო

ამით აცხადებს იმ პირთა საყურადღებოთ, რომელთაც სურთ იჯარით აიღონ ბეტონის წყლის მილების გაკეთება: 1) პირველი ნაგორნის და ვიწრო ქუჩებზე (თბილისის მეორე პოლიციის განყოფილებაში) ძველი არსენალის ქუჩიდან დაწყებული. 2) გრიბოედოვის ქუჩაზე (თბილისის პირველ პოლიციის განყოფილებაში) ა. ტურნოვსკის სახლიდან დაწყებული ნაბერეჟნის ქუჩის (მეცხრე პოლიციის განყოფილებაში) მილთან შეერთებამდის.

ვაჭრობა დანიშნულია 8 ივნისს დილით 12 საათზე. ამ ვაჭრობის პირობების შეტყობა შეიძლება საბჭოს ტეხნიკურ (строител.) განყოფილებაში ყოველ დღე დილის ათი საათიდან შუადღის ორ საათამდე.

(3—2)

დაიბეჭდა და იყიდება

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამოცემა

№ 27

ოქროს მოყვარულები

მოთხრობა ცშოკესი

გადმოღებული

ელენე წერეთლის მიერ

ფასი 15 კაპ.

(10—2)

კბილის ექიმი

ვ. ი. ქიქინაძე

20 ივნისიდან მიიღებს ავათმყოფებს ახალ სადგომში. ნიკოლოზის ქუჩა, ე. საგინაშვილის სახლი, № 21, სადაც „ივერიის“ რედაქციაა.

Доз. ценз. Тифлисъ, 7 Іюня 1896 г. — Тип. М. Д. Ротиніанца სტამბა, მ. დ. როტინიანცის Гол. пр., № 41